



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“**ფ ა მ ტ კ ი ც ე ზ**”

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

თორნიკე შერმადინი

„22“ 10 „ 2014 წელი

ეგზ N2

საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროს აპარატი

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო პერიოდისთვის

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში *ლ/28/00*

შინაარსი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	4
ფორმა -N1 ბალანსი	6
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	7
ფორმა N2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	8
ფორმა N2-2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	8
ფორმა N 3- ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ	9
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება- გასვლის შესახებ	10
ფორმა N6- ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ	11

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღებით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველები

აპარატის ბალანსზე რიცხული დებიტორ-კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს ცენტრალურ აპარატის ბალანსზე ასახულია 2005-2006 წლებში ლიკვიდირებული საქვეუწყებო დაწესებულებების, სსიპ-ების და ყოფილი რაიონული სამმართველოების მიერ წარმოდგენილ სალიკვიდაციო

ბალანსებში რიცხული 160,967 ლარის კრედიტორული და 1,976,882 ლარის დებიტორული დავალიანება, რომელზეც დავალიანების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ ინახება, შესაბამისად ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები აღნიშნული დავალიანებების დასადასტურებლად.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

სამინისტროს აპარატის ბალანსზე ფიქსირდება შენობა-ნაგებობები, რომელზეც ცვეთის დარიცხვის მეთოდი და კოეფიციენტი გაურკვეველია და რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება მომქმედ ინსტრუქციას.

არაფინანსური აქტივის მიღება-განკარგვა

2013 წელს სამინისტროს ბალანსზე აღრიცხულია საქართველოს სხვადასხვა რაიონის მუნიციპალიტეტების მიერ (54 მუნიციპალიტეტი) სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების (საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრები) ფუნქციონირებისათვის, უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით გადმოცემული საოფისე ფართები, რომელთა საბალანსო ღირებულება 49 მუნიციპალიტეტში (ხელშეკრულებებში გადმოცემული ფართების ღირებულებები მითითებული არ არის) აღირიცხა სიმბოლურ ფასად ერთ ლარად, რაც არ წარმოადგენს მათ რეალურ ღირებულებას.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად ასახავს სამინისტროს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, და ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ ანგარიშგებებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

სახელმწიფო შესყიდვები

- 2013 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ავტომობილების შესაძენად გამოცხადდა 4 ელექტრონული ტენდერი. აღნიშნული ტენდერებით შეძენილი ავტომობილების საერთო ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 1,841,040 ლარი. შესყიდვების დოკუმენტაციაში არ მოიპოვება რაიმე დოკუმენტი ან მოხსენებითი ბარათი, რომლითაც რომელიმე სტრუქტურული ერთეულის ან თანამშრომლის მიერ იქნება დასაბუთებული, კონკრეტული ავტომობილის შეძენის საჭიროება, მათი რაოდენობა, ტექნიკური მახასიათებლები და მიწოდების ვადები.
- 2013 წლის 8 თებერვალს სამინისტრომ გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი 54 ერთეული მაღალი გამავლობის სატრანსპორტო საშუალების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 1,465,000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ჯი თი მოტორსმა“ და გაიმარჯვა, ხელშეკრულება გაფორმდა 1,445,040 ლარზე.

სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მიხედვით, ტენდერში გამარჯვებულს (ტენდერი დასრულდა 2013 წლის 5 მარტს) სამინისტროსთვის უნდა მიეწოდებინა დაბალი კუბატურის 1200სმ³-1500სმ³, მაღალი გამავლობის ავტომანქანები. მიწოდების ვადა განისაზღვრა არანაკლებ 40 ერთეული - ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო დანარჩენი ნაწილი -

არაუგვიანეს 2013 წლის 20 მაისისა. შემჭიდროვებულ ვადებში მიწოდების მოთხოვნა, შესაძლოა ვერ უზრუნველყოფდეს შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომას. 15 კალენდარულ დღეში 40 ერთეული ავტომობილის იმპორტი საკმაოდ მცირე ვადაა, რის გამოც მინიმალური იქნებოდა შანსი იმისა, რომ ტენდერში მონაწილეობა მიეღო ისეთ პრეტენდენტს, რომელსაც წინასწარ უკვე შეკვეთილი არ ექნებოდა აღნიშნული ოდენობის და სპეციფიკაციის ავტომანქანა. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ტენდერი დასრულდა 2013 წლის 5 მარტს, ხელშეკრულება გაფორმდა 6 მარტს და იმავე დღეს მოხდა 44 ერთეული ავტომანქანის მიწოდება, დანარჩენ 10 ავტომობილზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2013 წლის 19 მარტს.

- 2013 წლის 21 თებერვალს, სამინისტრომ გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი ქსელების შესყიდვის მიზნით. შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ დღგ-ს ჩათვლით შეადგინა 30,000 ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ერთმა პრეტენდენტმა - შპს „ალგორითმმა“. ხელშეკრულება გაფორმდა 29,193 ლარზე.

აღსანიშნავია, რომ სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალების მიხედვით მოთხოვნილია 8 პორტიანი ქსელის გამანაწილებლის კონკრეტული მოდელი „TL-SG1008D“. ამავე ტენდერში მოთხოვნილი იყო 48 პორტიანი ქსელის გამანაწილებლები, რომლის ტექნიკურ მახასიათებლებში მითითებულია „Junos Software version tested Junos 10.4“. „Junos 10.4“ არის კომპანია „Juniper Networks“-ის მიერ წარმოებული ოპერაციული სისტემა, რომელიც მხოლოდ ამ კომპანიის მიერ წარმოებულ მოწყობილობებთან არის თავსებადი.

აღნიშნული გარემოებები არღვევს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნებს, რომლის მიხედვითაც, დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები.


აუდიტორთა ხელმოწერა:

ანა ალავერდაშვილი

ნათია გამყრელიძე

ბესიკ ქოჩიაშვილი

სოფიო კობახიძე



ფორმა -N1 ბალანსი

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

აქტივები	ნაშთი წლის დასაწყისში	ნაშთი წლის ბოლოს
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
სხვა ანგარიშები ბანკში	735	
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	200	200
აქციები და სხვა კაპიტალი		379,055,128
საბიუჯეტო სესხებზე დარიცხული პროცენტები	36,278	36,278
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან	2,670,226	2,648,263
დაკავშირებული სხვა შემოსავლებით		
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე	-	64,091
აქტივების/მომსახურების მიწოდებით		
გადახდილი დღგ	715	715
სხვა საგადასახადო აქტივი	15,857	15,857
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1,950,756	111,921,556
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	409,538	571,178
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	11,819	14,136
გრძელვადიანი სესხები	8,854,822	8,840,013
სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	67,305,389	127,269,059
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	81,965	78,162
შენობა-ნაგებობები	4,677,109	4,802,934
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9,701,526	3,192,174
სხვა ძირითადი აქტივები	37,665	44,143
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	109	109
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	115,743	14,621
არაწარმოებული აქტივები	1,440,000	1,440,000
ბალანსი	97,310,452	640,008,617
ვალდებულებები და კაპიტალი	ნაშთი წლის დასაწყისში	ნაშთი წლის ბოლოს
ვალდებულებები		
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	423,391	431,802
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	7,110	7,005
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	44,728	44,728
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	43,948	43,948
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	43,070	43,070
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	96,748,205	639,438,064
ბალანსი	97,310,452	640,008,617
საცნობარო მუხლები		
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	1,758,454	6,462,048
ვადაგადაცილებული დავალიანებები	562,247	557,136
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი	305,089	439,436
აქტივები		
განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	-	90,714

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	118,653,766	120,647,140	119,288,518	119,112,971	119,112,970	9,780,719	(109,332,251)
შრომის ანაზღაურება	7,404,400	7,404,300	6,723,176	6,689,100	6,689,100	6,688,995	(105)
თანამდებობრივი სარგო			4,850,011	4,837,213	4,837,213	4,837,108	(105)
პრემია			1,831,983	1,810,705	1,810,705	1,810,705	-
დანამატი			41,182	41,182	41,182	41,182	-
საქონელი და მომსახურება	4,150,366	2,843,840	2,205,850	2,072,093	2,072,092	2,086,139	14,047
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება			289,019	278,886	278,886	278,886	-
მივლინებები			342,658	314,307	314,307	314,307	-
ოფისის ხარჯები			579,712	537,339	537,339	550,181	12,842
წარმომადგენლობითი ხარჯები			47,242	38,191	38,191	34,496	(3,695)
ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა -შენახვის ხარჯები			463,698	437,321	437,320	435,004	(2,316)
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება			483,521	466,049	466,049	473,265	7,216
ძირითადი კაპიტალის მოხმარება						607,047	
სუბსიდიები	10,850,000	12,820,000	12,820,000	12,820,000	12,820,000		(12,820,000)
გრანტები	300,000	300,000	289,220	289,220	289,220	306,780	17,560
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს			289,220	289,220	289,220	289,220	
გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს						17,560	17,560
სოციალური უზრუნველყოფა	55,000	55,000	47,004	40,159	40,159	40,159	
სხვა ხარჯები	95,894,000	97,224,000	97,203,267	97,202,399	97,202,399	51,599	(97,150,800)
სხვადასხვა ხარჯები			97,203,267	97,202,399	97,202,399	51,599	(97,150,800)
მიმდინარე			29,038,767	29,037,899	29,037,899	51,599	(28,986,300)
კაპიტალური			68,164,500	68,164,500	68,164,500	-	(68,164,500)

ფორმა N2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	6,898,400	3,941,350	3,538,018	3,520,007	3,520,007
ძირითადი აქტივები	-	-	3,538,018	3,520,007	3,520,007
შენობა-ნაგებობები	-	-	266,171	248,161	248,161
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	266,171	248,161	248,161
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	3,261,446	3,261,446	3,261,446
სატრანსპორტო საშუალებები	-	-	3,112,806	3,112,806	3,112,806
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	148,640	148,640	148,640
სხვა ძირითადი აქტივები	-	-	10,400	10,400	10,400
არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	10,400	10,400	10,400

ფორმა N2-2 - ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ფინანსური აქტივები	53,639,520	48,599,800	48,599,800	48,599,800	48,599,800
საშინაო			48,599,800	48,599,800	48,599,800
აქციები და სხვა კაპიტალი			48,599,800	48,599,800	48,599,800
ვალდებულებები		6,560	6,558	6,558	6,558
საშინაო			6,558	6,558	6,558

ფორმა N 3- ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

წმინდა ღირებულება 01.01.2013	96,748,204
სადებიტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	6,688,995
საქონელი და მომსახურება	2,086,139
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	607,047
გრანტები	306,780
სოციალური უზრუნველყოფა	40,159
სხვა ხარჯები	51,599
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	1,746,236
სხვა ეკონომიკური ნაკადები	10,983,790
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	1,224,461
სულ სადებიტო ბრუნვა 2013	23,735,206
საკრედიტო ბრუნვა	
ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	171,239,337
შემოსავლები	7,100,284
მ.შ. გრანტები	7,091,445
აქტივების უსასყიდლოდ მიღება	81,264
სხვა ეკონომიკური ნაკადები	388,004,181
სულ საკრედიტო ბრუნვა	566,425,066
წმინდა ღირებულების ცვლილება 2013	542,789,861
წმინდა ღირებულება 31.12.13	639,438,065

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება- გასვლის შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

მიღება							გასვლა									
არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 01.01.2013	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	გრანტებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	სხვა მიღებები	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით	გრანტებით	დანაკლისით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	სხვა გასვლები	ნაშთი 31.12.2013	
მატერიალური მარაგები	81,964	550,423	-	-	-	-	17,411	-	-	-	-	-	536,814	-	78,162	
ფულადი დოკუმენტები		338,430	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	338,430	-	-	
სათადარიგო ნაწილები	5,966	88,051	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	88,051	-	5,966	
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	75,998	123,942	-	-	-	-	17,411	-	-	-	-	-	110,333	-	72,196	
ძირითადი აქტივები	14,416,410	3,520,007	80,749	7,091,445	60,182	53,520	1,683,023	8,440,727	16,271	118,912	6,263,456	607,047		53,520	8,039,357	
შენობა-ნაგებობები	4,677,110	248,161	4	27,907	52,296	-	22,378	46,463	16,160	22,589	-	94,955	-	-	4,802,933	
საცხოვრებელი შენობები	5,542	-	-	-	-	-	2,758	-	-	180	-	35	-	-	5,327	
არასაცხოვრებელი შენობები	4,421,457	248,161	4	27,907	52,296	-	19,620	46,463	16,160	22,074	-	84,127	-	-	4,561,381	
სხვა შენობა-ნაგებობები	250,111	-	-	-	-	-	-	-	-	335	-	10,793	-	-	238,983	
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9,701,527	3,261,446	80,745	7,063,538	7,886	53,520	1,660,645	8,394,264	111	94,571	6,263,456	509,922	-	53,520	3,192,173	
სატრანსპორტო საშუალებები	8,317,833	3,112,806	-	7,063,538	7,234	53,520	1,015,714	8,388,329	-	34,227	6,259,479	345,690	-	53,520	2,457,972	
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	1,383,694	148,640	80,745	-	-	-	644,931	5,935	-	60,344	3,977	164,232	-	-	734,201	
სხვა ძირითადი აქტივები	37,664	10,400	-	-	-	-	-	-	-	1,752	-	2,170	-	-	44,142	
კულტივირებული აქტივები	27,695	-	-	-	-	-	-	-	-	1,752	-	-	-	-	25,943	
არამატერიალური ძირითადი აქტივები	9,969	10,400	-	-	-	-	-	-	-	-	-	2,170	-	-	18,199	
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	109	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	109	
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	115,742	143,140	515	-	3,363	-	45,067	775	1,289	42,728	134	-	158,147	-	14,620	
არაწარმოებული აქტივები	1,440,000														1,440,000	
მიწა	1,440,000														1,440,000	

ფორმა N6- ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ

საანგარიშო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტური)			
			შემენა		სხვა სახით მიღება		სხვა სახით გასული									
	რაოდ	ღირებ	რაოდ	ღირებ	რაოდ	ღირებ	რაოდ	ღირებ	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	52	2,023,840	62	1,844,115	2	117,293	35	1,189,955	416,904	63,415	334,551	18,938	443,722	63,415	361,369	18,938
მათ შორის:																
მსუბუქი	16	311,110	2	66,000	-	-	7	28,422	19,958	17,888		2,070	79,377	17,888	59,419	2,070
ჯიპები და პიკაპები	16	380,730	60	1,778,115	-	-	9	111,840	62,395	45,527		16,868	362,918	45,527	300,523	16,868
სამგზავრო																
სატრანსპორტო საშუალებები	10	1,332,000	-	-	-	-	7	932,400	-	-		-	1,427	-	1,427	-
სატვირთო	10	-	-	-	2	117,293	12	117,293	-	-		-	-	-	-	-